მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 18 1883—1899 30 სექტემბერი

რედაქციისაგან.

მართალია, ჩვენი ხელის მომწერთ დავპირდით ფულის შემოტანისთანავე პრემიების გაგზავნას, მაგრამ ძლიერ მოუხერხებელი შეიქნა პრემიების ფოსტით გაგზავნა. უამანათოდ გაგზავნა ძნელია, რადგან იპარავენ და ფოსტა პასუხს არ აგებს. ამანათით ძვირად ჯდება და რედაქციას ხელს არ მისცემს. ამისთვის რედაქციამ განიზრახა, რომ ყველა ქალაქებში და დაბებში, სადაც ფოსტა მიდის, აირჩიოს სანდო პირები და მათ გადასცეს ეს პრემიები, რომელთაგან ყველა ხელის მომწერს შეუძლია მათი მიღება. ეს პირები ამ მოკლე ხანში იქნებიან გამოცხადებულნი.

რედ. დეკ. დ. ღამბაშიძე.

მადლობა ღმერთს, მოვესწარით 1873 წლის უკაზის ასრულებას.

1867 წლიდან შემოღებულია სამღვდელოების კრებები. ამ კრებების შესახებ თავიდანვე გამოცემულ იქმნა წესდებულება და კანონები, რომელთა თანახმად უნდა მომხდარიყო ხოლმე სამღვდელოების დეპუტატების აღრჩევა და სამღვდელოების კრებათა საქმის წარმოება. კანონი, რასაკვირველია, ყველგან ერთგვარად უნდა სრულდებოდეს, თუ იგი საზოგადოდ ყველას სახელმძღვანელოდ არის გამოცემული, მაგრამ, სამწუხაროდ, კანონებს

ხშირად ეველგან ერთგვარად არ ასრულებენ. ერთი სიტყვით, ვისაც როგორ სურს, ისე ასრულებს კანონს და ამისათვის კანონის შედეგიც ისეთი არეულ-დარეულია ხშირად.

ავიღოთ, მაგალითებრ, დეპუტატების აღრჩევა სამღვდელოებისაგან. უწმიდესი სინოდი, რასაკვირველია, დარწმუნებული იყო, რომ ათ კრებულზე ერთი დეპუტატი იქნებოდა აღრჩეული, როგორც ამას თხოვილობდა წესდებულება. მაგრამ ასე არ იქცეოდენ. ზოგ ეპარქიაში თვით ბლაღოჩინები ირჩევდენ დეპუტატებს, ზოგან—ეპისკოპოსები და ზოგან სამღვდელოება, მაგრამ ბლაღოჩინების ჩვენებით. წესდებულებაში იყო ნათქვამი, რომ შეკრებილი დეპუტატები თვის შორის ირჩევენ კრების თავმჯდომარედ რომელიმე დეპუტატსო. სულ სხვანაირად ასრულებდენ ამას ზოგიერთ ადგილას. ზოგან ეპარქიებში მღვდელ-მოაგრეები თავმჯდომარედ თვის კათედრის დეკანოზებს აყენებდენ და ზოგან თავიანთ ეკონომებს...

რომ ეველგან ერთნაირად გაეგოთ უწმიდესი სინოდისაგან გამოცემული წესდებულებანი, ამის შესახებ მრავალჯერ გამოიცა განმარტებითი განჩინებანი უწმიდესი სინოდისაგან, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს განჩინებანი ზოგან დღემდისინ არ მოსულან სისრულეში. ამ განჩინებათა აუსრულებლობით საქმე წესიერად არ მიდიოდა და ამ უწესოების ბრალს კიდევ სამღვდელოებას აწერდენ და ისევ სამღვდელოები გამოჰყავდათ და დღესაც გამოჰყავთ დამნაშავედ...

უწმიდესი სინოდისაგან აღკრძალულია საბლაღოჩინოებისაებრ დეპუტატების აღრჩევა, ვინაიდგან საბლაღოჩინო არ შესდგება ათეული მტატისაგან. თითოეულ საბლაღოჩინოს შეადგენს 12, 15 და 25 მტატის კრებული. როგორ შეიძლება ამისთანა საბლაღოჩინომ დეპუტატები აღირჩიოს, თუ მეორე საბლაღოჩინოდან არ მიემატნენ მტატის კრებულნი. იმერეთის ეპარქიაში კათედრის სობორო სრულებით არ კადრულობს, რომ ქალაქის სხვა სამღვდელოებას შეუერთდეს და ათმა კრებულმა ერთი დეპუტატი გაგზავნოს კრებაზე. ოთხი კრებული ერთ დეპუტატს აგზავნის კრებაზე და ეს კანონიერად მიაჩნიათ!..

ამისთანა გარემოებამ და სხვათაც იძულებული ჰყავს დეპუტატები დეკ. დ. ღამბაშიძე, ბლაღოჩინი ალ. გერსამია და მღვდელნი იაკობ გვეველესიანი და ა. კანდელაკი განცხადება შეეტანათ ეპარქიალურ სამღვდელოსთან, რომ ამისთანა უწეს-რიგობას ბოლო მოღებოდა იმერეთის ეპარქიაში და დეპუტატების აღრჩევა კანონიერად მომხდარიყო. ამ ზემოხსენებულთა ჰირთა მოითხოვეს, რომ, თანახმად უწმიდესი სინოდის განჩინებისა, მთელი ეპარქია დაეყოფილიყო ათ-ათ სადეპუტატო ოლქად და შემდეგ ამ სადეპუტატო ოლქებში მომხდარიყო დეპუტატების აღრჩევა.

მათმა მეუფებამ იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა, მიიღო რა სახეში ეს კანონიერი განცხადება ხსენებულ დეპუტატთა, ცირკულიარული მიწერილობით გამოუცხადა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებას შემდეგი: „ვინაიდგან დეპუტატები წესიერად არ ირჩევიან იმერეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპარქიაში, მიუწერ ყველა ბლაღოჩინებს ქუთაისის მაზრაში ბლაღოჩინის დეკ. ჭეიშვილის თავმჯდომარეობით, შორაპნის მაზრაში ბლაღოჩინის დეკ. დავით ღამბაშიძის თავმჯდომარეობით, რაჭის მაზრაში ბლაღოჩინის დეკ. ალექსი გიორგობიანის თავმჯდომარეობით და ლეჩხუმის მაზრაში ბლაღოჩინის მღვდლის რ. გულბანის თავმჯდომარეობით შეადგინონ სადეპუტატო ოლქები მთელს მაზრაში და ამ ოლქების სია წარმომიდგინონ მე.

თუმცა გვიან არის, მაგრამ სწორედ სასიამოვნო არის, რომ დღეს მაინც მოდის სისრულეში ის, რაც ნაბძანები იყო 1873 წელში და იმედია, რომ სამღვდელოება უფრო დაფიქრებით რიგიან პირებს აირჩევს სამღვდელოების კრებისათვის. იმედია, რომ სამღვდელოება დეპუტატების არჩევის დროს განსაკუთრებით ყურადღებას მიაქცევს იმ სადეპუტატო კანდიდატებს და იმათ აირჩევს, რომელნიც მათ ინტერესს და სარგებლობას დაიცავენ და უარს იტყვიან იმისთანა პირების აღრჩევაზე, რომელნიც პირმოთნეობისა და თავიანთი პირადი სარგებლობისათვის მზად არიან თავის მარწმუნებელნი სრულებით დაივიწყონ. ამ განკარგულების შემდეგ დეპუტატებს თვით სამღვდელოება აღირჩევს და გაგზავნის ხოლმე და ამისათვის იგი უნდა ეცადოს, რომ ეს რწმუნება სასულიერო მთავრობისა ჯეროვანად გაამართლოს. უნდა ახსოვდეს სამღვდელოებას, რომ მღვდელ-მთავარს შეუძლია დაითხოვოს დეპუტატი, რომელიც კანონიერად არ არის არჩეული.

სოფლის მღვდელი

წერილი „მწყემსის" რედაქციისადმი.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გაზეთ „მწყემსი"ს ერთ ნომერში ამოვიკითხე გულდვანის (თთვენის) დასტამბვის შესახებ. გულდვანის ხელთ-ნაწერი ჯერ კიდევ მოიპოვება ზოგიერთ ჩვენს მონასტრებში და ეკკლესიებში, მაგრამ ეს ხელ-ნაწერები ძველებულნი არიან. დღემდე ვფიქრობდი, რომ ამისთანა ძვირფასის, და მამა-პაპათაგან ნაშრომ ნაღვაწის შესახებ, როგორიც არის სადღესასწაულო გულდვანი ანუ ყოველ დღიური წმიდანთა საგალობელი, რამეს იტყოდნენ დიდი მონასტრის წინამძღვარნი და ამ წიგნის დასტამბვას შეუდგებოდნენ და ამით დიდ სამსახურს გაუწევდნენ მომავალს ახალ თაობას, მაგრამ სამწუხაროდ ხმას არავინ იღებს. სამღვდელო პირთა უმრავლესობამ კარგად უწყის, თუ რა დიდი საჭიროა გულდვანის დასტამბვა როგორც მონასტრებში სახმარად ისე სოფლის ეკკლესიებში, თუმცა სოფლის ეკლესიებში იმექონება გამოკრებილი სადღესასწაულო წიგნი დიდ წმიდანების და საუფლო დღეებისა, მაგრამ ეს წიგნი საკმაო არ არის. სოფლებში იციან ტაძრის ბევრი დღეობები, რომელნიც გამოკრებულს სადღესასწაულო წიგნში არც-კი სწერია თითო ოროლა მუხლების გარდა; მაგალითად, ზოგან დღესასწაულობენ, როგორც კვირიკობას, და კოსმა და დამიანეს 1, 15 ივლისს, გიორგობას 10 ნოემბერს და სხვა ამისთანა ტაძრის დღეობებს, მაგრამ ამ დღეების საგალობელი გამოკრებულს სადღესასწაულო წიგნში არ სწერია. თუ გულდვანი დაისტამბა, მაშინ ის გამოკრებილი სადღესასწაულოს წიგნის მეორედ დაბეჭდვა საჭირო არ იქნება. გულდვანის შემწეობით ყოველ დღეს შეუძლიათ ეკკლესიის მსახურთა იდღესასწაულონ, რომელი ტაძრის ანუ წმიდანის სახელზედაც ისურვებენ დღესასწაულის გადახდას. ესეც რომ არ იყოს, განა ცოდვათ ჩაეთვლება ჩვენს სამღვდელოებას მცირედის საფასის გამოღებით ამისთანა სახსოვარი და მამა-პაპათაგან ნაშრომ-ნაანდერძევი საეკკლესიო წიგნი დასტამბოს და დაუტევოს მომავალს თაობას? მე არა მგონია, თორემ ბევრი დრო არ გაივლის, და ამგვარი ხელთ-ნაწერი წიგნები სიძველისა გამო გაქრება, და ჩვენ-კი პასუხის მგებელი ვიქმნებით წინაშე ღვთისა და კაცთა. დედანი ხელთ-ნაწერის გულდვანის წიგნისა, როგორც ხონის სობორის ეკკლესიაში არის ვრცლად და კარგის ასოებით დაწერილი, არა მგონია სხვა იმერეთის მონასტრებში უკეთესი სადმე იყოს, თუმცა ამ გვარი გულდვანის წი-

გნები გელათის მონასტერში, მარტვილისა, და ქუთაისის სობოროშიდაც კი არის, მაგრამ ხონის სობოროს ეკკლესიის გულვანის წიგნი ყველას სჯობს. ეს გულვანი ოთხ წიგნად არის შეკრული, და თითოეული წიგნი სამ-სამის თვისა არის ერთად მოთავსებული, და არსად შიგ ძალის პირები, როგორც სხვა გულვანში ისე ზეპირად სათქმელი კი არ არის, იქვე უწერია, ეგრეთვე შვიდეულის სამწუხროებში ყველგან ორ-ორი დიდება და აწდა არის დაწერილი ერთი ღვთის-მშობლის, და მეორე ჯვარ ღვთის-მშობლისა ამისთვის—რომ იქნება ოთხშაბათ პარასკევი შეხვდესო, ერთის სიტყვით სხვა გულვანებთა შორის პირველობა ეკუთვნის ხონის სობოროში დაცულს გულვანის წიგნს.

მეორე სამწუხარო ამბავად ის უნდა ჩაითვალოს ჩვენის მხრით, რომ აღმოჩნდნენ ისეთი ახალთაობის რომელიმე პატივცემულნი მამებიც კი, რომ სარწმუნოდ ბრძანებენ, ვითომც ხუცურის ანბანებით დასტამბულს საღმრთო წერილის წიგნებს მხედრულის ასოებით დასტამბული სჯობდეს, და უმჯობესად სთვლიან საღმრთო წერილის წიგნები მხედრულის ანბანებით დაისტამბოს. ეს ძლიერ შემცდარი აზრია, თუმცა ბევრნი სხვა და სხვა უსაფუძლო მოსაზრებსაც ასახელებენ ამის შესახებ, მაგრამ ვისაც ხუცური ანბანებით დასტამბული წიგნები კარგათ გაუცვნია, და დაკვირვებია ხუცურს ანბანებს—ის უსათუოდ დარწმუნდება, რომ ბევრად უმჯობესია მხედრულზედ, და არასოდეს მხედრულის ანბანებით დასტამბულს წიგნებს უპირატესობას არ მისცემს ეკკლესიებში სახმარ-საკითხავად. ვინ არ იცის, თუ ხუცურის ანბანების შესწავლა კი სურს ვისმეს, ეს ბევრი დროის დაკარგვას არ მოითხოვს. რა საჭიროა ხუცურის ნაცვლად მხედრულის ანბანებით დასტამბული წიგნები შემოვიდოთ ეკკლესიებში სახმარებლად; განა ბევრს დროს და საუკუნოებს არ გაუვლია ხუცურის ანბანების დაარსების შემდეგ. და წმიდა მამებსაც კი ფიქრად არ მოსვლიათ, რომ ხუცურის მაგივრად მხედრულის ანბანებით შემოეღოთ საღმრთო წერილის ხმარება ეკკლესიებში, და რაღა ეხლა უნდა მოხდეს ეს? რატომ იმას მაინც არ მიხედვენ ეს პატივცემულნი მამები, რომ ჩვენი ერთ მორწმუნე რუსები არ უარ-ყოფენ სლოვიანურის ასოებით დასტამბულს წიგნებს, თუმცა რუსული ანბანი სლოვიანურს ბევრად სჯობს. ამ საგანზე დიდი ფიქრია საჭირო.

მღვდელი პავლე ბახტაძე.

საშინელი უბედურება ყარსის რკინის გზაზე.

17 სექტემბერს ყარსის რკინის გზაზე, ნაშუადღევის სამს საათზე დიდი უბედურება მოხდა. ამ უბედურების მსხვერპლი იყო რამდენიმე ადამიანი.

ყარსიდან მოდიოდა მგზავრთა მატარებელი, რომელიც შესდგებოდა ორთქლ-მავალისა და 12 ვაგონისაგან. მაშინისტი იყო მიხაილოვი. ამ მატარებლით მოდიოდა მრავალი ხალხი დაბალი წოდებისა, 55 ჯარის კაცი 45 დრაგუნის პოლკისა, შუა ვაგონებში ერია ქალებიც, ბოლოზე ება მეორე კლასის ვაგონები, რომლებშიაც ისხდნენ მაღალი წოდების ხალხი, მათ შორის თფილისის ოლქის სასამართლოს ბრალ-მდებელი ე. პ. ნიკანდერი, მისი თანაშემწე პ. პ. ფონკლუგენი, შტაბ-როტმისტრი დრაგუნის პოლკისა თავ. აბაშიძე, პორუჩიკი რუდნევი, შადიევი, ყარსის ტაძრის მთავარი სოლოვიოვი და სხვანი.

მატარებელი გამოვიდა ჯანდარის სადგურიდან და მოდიოდა სალანლუღში თავის ვადაზედ, საათში აკეთებდა ოცს ვერს. სულ არ გაიარა რამდენიმე წამმა, მაშინისტმა შეამჩნია, რომ ლოკომოტივმა ტოკვა დაიწყო ისე, რომ მისი (მაშინისტის) თანაშემწე და კაჩეგარი გვერდზე გადაისროლა. დაფაცურდა მაშინისტი, მაგრამ მეტის-მეტის ლოკომოტივის ქანაობისაგანა ვეღარ მოახერხა-რა, ეცადა შეეჩერებინა, მაგრამ ამ დროს ლოკომოტივი ლიანდაგზე აღარ იდგა და მაშინისტიც შორს გაისროლა.

უცბათ საზარელი ხმა და რახა-რუხი გაისმა და ვაგონები ერთმანეთს დაეჯახნენ. წინა ვაგონები სულ ნაფოტებად იქცნენ. შემოისმა ტირილი, ყვირილი, კნავილი მგზავრებისა და ყველა ეს ხმაურობა საშინელს სურათს წარმოადგენდა. რამდენიმე კაცი ქვეშ დაიტანა და იქვე სული დალიეს, ზოგს მოტყდა მკლავი, ზოგს ფეხი ზოგს წელი და სხვ.

ამ საშინელებას ვერა კალამი ვერ აწერს და ვერც ერთმა იქ მყოფმა მატარებლის მგზავრმა სწორეთ ვერ მიამბო, რადგანაც ყველა ის უბედურება ვეღარ წარმოუდგენია და დღემდის თავისი თავი ვერ გამოურკვევია. უკანა ვაგონებიდან ხალხმა იგრიალა, გადმოხტნენ და თავს უშველეს, აქა-იქიდან გადმოცვივდნენ ფეხ მოტეხილები და ხელ მოტეხილები და სხვ.

ხალხი მაშინვე შეუდგა დახოცილების და და-

ჭრილების ძებნას. ზოგ-ზოგმა გადარჩენილმა მიახწია რბენით სადგურ ნათლუღს, საიდანაც ყველას შეატყობინეს დეპეშებით, ტელეფონებით რომ შველა აღმოეჩინათ დროზე. მშველელნი ექიმები, ფერშლები წამლებით გაჩნდნენ ხუთ საათისთვის.

აღმოჩნდა ოცდა-ცხრამეტი ძალიან დაჭრილი და დაზიანებული დაბალი წოდების კაცი. და სამიც მკვდარი კაცი, რომლების სახეც ვერავინ ვერ გაარჩია, რადგანაც ძალიან იყვნენ გაჭყლეტილნი.

დაჭრილები და მკვდრები გაისტუმრეს ტფილისში რკინის გზის და სამხედრო სამკურნალოებში.

ბრალმდებელის ბ. ნიმანდერის განკარგულებით დაიწყო მაშინვე საქმის გამოძიება იმავე-დღეს ეტლებით გაჩნდნენ ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი, ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ლ. გ. ჯანდიერი და სხვანი, მხოლოდ ყარსის გზის გამყვანი ე. დ. ვურცელი არ მობრძანდა, მან მხოლოდ საღამოზე დაათვალიერა საავადმყოფოში დაჭრილები და მკვდრები.

გადარჩენილი ხალხისათვის ტფილისიდან მატარებელი მოვიდა და მოიყვანა ტფილისში.

საავადმყოფოში მალე გაჩნდნენ ექიმები რკინის გზისა როზანოვი და საგუბერნიო ექიმი ტ. ს. ქიქოძე თავისი ფერშლებითა და წამლებითა.

ეხლა გაცხარებული გამოძიებაა ამ საქმისა, რომელსაც აწარმოებენ: მბრალ-მდებელნი პალატისა ე. ვ. ვასილიევი, ოლქის სასამართლოსი ე. პ. ნიმანდერი, მისი თანაშემწე პ. პ. ფონ-კლუგენი და ოლქის სასამართლოს გამომძიებელი ბ-ნი რობინსკი. სხვათა შორის ამ საქმეში გამოძიების დროს ექსპერტებათ არიან მოწვეულნი რკინის გზის ინჟინერები როზენფელდი, ისაევი და კარპოვი.

მიზეზი ამ უბედურებისა ჯერ გამორკვეული არ არის.

მკვდრები აღმოჩნდნენ შემდეგი პირნი: ორნი დრაგუნის პოლკის სამხედრო სალდათი სერგეი რეუკი და ეგნატე ფეოდოროვი და მესამეც უბრალო მუშაა სომეხი სედრაკა ნურიჯანიანცი.

საუბარი მრევლის მღვდლისა სუფთად დაცვისათვის სამრევლო სასაფლაოისა, რომელიც შეადგენს საღმრთო მოვალეობას ყოველთა ქრისტიანეთათვის.

მართლ-მადიდებელი სამრევლო სასაფლავო არის წმინდა, ნაკურთხი ადგილი, სადაც განისვენებენ მიცვალებულთა გვამნი მომავალ ადდგომისათვის. აქ არიან დასაფლავებულნი გვამნი ქრისტიანეთა, რომელნიც არიან გამოსყიდულნი ქრისტეს პატიოსანის სისხლით და—განწმენდილნი წმ. საიდუმლოებითა: ნათლის ღებითა, მირონ-ცხებითა და ზიარებითა. ისინი არიან დამარხულნი არა სამუდამოდ, არამედ დროებითად. ვიდრე ქრისტეს მეორედ მოსვლადმდე, რომლებიც კვლავ აღსდგებიან და შეიქმნებიან სულიერ, უკვდავ და უსხეულო არსებად. სამრევლო სასაფლაოზე განისვენებენ გვამნი წინაპართა: მამათა და დედათა, დათა და ძმათა, ძეთა და ასულთა ჩვენთა, რომელთ დასაფლავებაზე ისე ვწუხდით და ვსტიროდით, თითქო ერთად მათთან დამარხულ იყოს ჩვენი გულიც. ადგილი, სადაც საუკუნოდ განისვენებენ გვამნი საყვარელთა ჩვენთა მიცვალებულთა, უნდა მიგვაჩნდეს უძვირფასეს საწმინდეთ და უნდა ვიცავდეთ მათ წმინდათ და მართებულად. ვინ დასთვლის, რამდენი წმინდანის და წმინდა უმანკო ბავშვების გვამი არის დაკრძალული მართლ-მადიდებელ სასაფლაოზე? აი ეს წმინდა გვამები არიან ჩვენი სოფლის ქომაგნი და კეთილ მორწმუნე მლოცველნი ჩვენი ცოდვილის სულისა. ადრე თუ გვიან ამავე სასაფლაოზე გამოიტანენ ჩვენს უსულო გვამებსაც კუბოებით და ჩაგვიშვებენ სამარეში. მთავარ-ანგელოზის საყვირის პირველ ხმაზე ჩვენც აქ, ამავე ადგილიდან აღვსდგებით მკვდრეთით და წარვსდგებით წინაშე სამინელსა სამსჯავროა ქრისტესსა.

ამისათვის პირველ საუკუნეთა ქრისტიანენი დიდის კრძალულებით, დიდის მოწიწებით და პატივის ცემით იცავდენ სასაფლაოებსა: ავლებდენ მტკიცე ზღუდეებს, აშენებდნენ სამლოცველოებს, სდგამდენ ძეგლებს საფლავებზე და ამშვენებდენ ხეხილებითა და ვარდ ბუჩქებითა. ყველა ზემო თქმული ცხადათ გვიმტკიცებს. რომ სამრევლო სასაფლაოების სუფთად დაცვა ჩვენ, აწინდელ ქრისტიანებსაც სადმრთო მოვალეობად უნდა მიგვაჩნდეს, მაგრამ, სამწუხაროდ. ამ შემთხვევაში დიდ გულ გრილობასა და დაუდევნელობას ვიჩენთ, ნამეტურ სოფლად მცხოვრებნი. ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი და მახლობელ სამრევლოთა სასაფლაოები. მათთვის არც ზღუდე არსებობს და არც არაფერი. მთლად სასაფლაო ბინარ-ეკალათია მოცული, სადაც ყოველ გვარი პირუტყვი ყოველ დღე თავისუფლად დახეტიალობს, ფეხით სთელავს და აუპატიურებს მიცვალებულთა საფლავებსა. ძეგლებსა და ვარდ-ბუჩქებს ვინ ჩივა; ნეტა რომელიმე საფლავზე რაიმე უბრალო ნიში მაინც იყოს სასწაულად რომ, შემთხვევის დროს ჭირის-უფალთა თხოვნით მღვდელ-მთავარმა ანუ მღვდელმა შენდობა მისცეს მიცვალებულსა. ქრისტიანენო, სასაფლაოს ზღუდე დიდ ხარჯს არ შეადგენს მთელი სოფლისათვის. ეცადეთ. რომ დღემდი ჩვენი დაუდევნელობით შებღალული სიწმინდე, აწი მაინც დავიცვათ წმინდათ და მართებულად. რომ სხვისმა ნახირმა ჭირნახული არ გაგიფუჭოს ჯარჯღობეს ავლებ ერთი კოდის მოსავლის ყანასა და თუ ვინმემ რამე გაგიფუჭა, სისხლს შეუსხამ, საჩამ წანამხდარს გადაახდევინებდე. იცოდეთ, ძმანო, რომ ზეციური ყანის პატრონი უფალი იესო ქრისტე ჩვენც სასტიკად მოგვთხოვს და გადაგვახდევინებს, უკეთუ მის წმინდა ყანას, რომელიც დათესილია ქრისტიანეთა გვამებითა, ზღუდეს არ შემოვავლებთ და არ დავიცავთ მართებულად.

მღვდ. მიხეილ გაგაშელოვი.

ჟურნალ გაზეთებიდან

ჟურნ. „რუს. სტარ.“-ში არის მოთავსებული წერილი გიმნაზიის ერთი მასწავლებლისა. ამ წერილში პატივცემული მასწავლებელი იხსენიებს თავის სტუდენტობას ყაზანის უნივერსიტეტში და, სხვათა შორის, ამ უნივერსიტეტის რექტორზე ამბობს, რომ იგი იყო დიდად განათლებული კაცი და მეტისმეტად ებრალებოდა სტუდენტებიო. ძველი ენების ეგზამენების დროს რექტორი სტუდენტებს უსვამდა 4,5; როცა თვითო პროფესორი კი 1 და 2 სწერდა სტუდენტებსო. ბოლოს პროფესორს საწყენად დაურჩა რექტორის ამგვარი საქციელი და გაკვირვებით ჰკითხა უკანასკნელს: „რა მიზეზია, რომ ასე მოწყალებით ექცევით სტუდენტებს“. ამაზე რექტორმა უპასუხა პროფესორს: „მე თვითონ ლათინური ენის სუსტი ცოდნისათვის გამომაგდეს სემინარიიდამ, როგორც ერთი უნიჭო მოსწავლე. თქვენ თანახმა ხართ ამ აზრისა?»... წარსულს რომ თავი დავანებოთ, დღესაც რამდენს ითხოვენ და ზოგნიც თავისთავად ანებებენ სასწავლებელს თავს, რადგან ბევრს ძველი ენების სწავლა უჭირს და შემდეგ კი ამ უდროოდ სასწავლებლებიდან გამორიცხულ პირთა უნუგეშო მდგომარეობა ჩვენვე სამწუხაროდ გვირჩება. ბევრს ღუპავს აგრეთვე მათემატიკურ საგნების დაწვრილებითი შესწავლა, თუმცა კარგად ვიცით, რომ იყვნენ მრავალი ღვთისმეტყველნი და პროფესორები—მასწავლებელნი, რომელთაც სრულებით არაფერი არ გაეგებოდათ მათემატიკის. დღესაც ბევრგან შეხვდებით მოხუცებულ მედავითნეთ, გამორიცხულთ სასწავლებლებიდან როგორც უნიჭოთ, მაგრამ მათი გონიერი მსჯელობა და საქმეზე მკვირცხლი შეხედულება დღესაც აკვირვებს მათ მოსაუბრეთ; სწორეთ სასიამოვნოთ ურჩება კაცს მათთან ბაასი. სამწუხაროდ გირჩება კაცს, როცა ხედავ, რომ ასეთი პირნი უდროოდ მოკლებულან განათლებას, რის გამო მათ არ ძალუძსთ ის სარგებლობა მოუტანონ საზოგადოებას, როგორი სარგებლობის მოტანაც შეეძლოთ მათ, რომ თავიანთი განათლება დაემთავრებიათ. უმეტესად სამწუხაროდ გირჩება კაცს, როცა ხედავ, რომ მსგავსი ბედი მოელის მრავალ პირთ, რომელთა მშობლები ბევრს

ცრემლს დაღვრიან და მასთან არა ერთს და ორს შეუკურთხებენ მასწავლებელთ და მეუფროსეთა, როცა წარმოიდგენენ თავიანთი გამორიცხული შვილების უიმედო მომავალს.

რა არის მიზეზი უმეტესი ყმაწვილების სასწავლებლებიდან უდროოდ გამორიცხვისა, რომლითაც ეს გამორიცხულნი დიდ მწუხარებას აყენებენ თავიანთ მშობლებს და მონათესავეთ?

უმეტეს შემთხვევაში ყმაწვილის უსწავლელობის მიზეზი მისი ზარმაცობა კი არა, არამედ კაცობრიული ბუნების კანონია. ვისაც ჰყავს შვილები და ამ შვილების ცხოვრებისათვის თვალ-ყური უდევნია, იმან იცის, რომ ყოველ ყმაწვილს აქვს ერთი დრო, როცა ის ფიზიკურად ძლიერ ჩქარა იზრდება. როცა ეს დრო მოუა ყმაწვილს, სწორედ ამ დროს უზარმაცდება მას სხეული. მაგრამ ეს სიზარმაცე კი არაა, ვინაიდგან ამ დროს უმეტესად შრომობს ყმაწვილი, და ძლიერ წუხს, რომ ხეირიანად ვერ ასწრებს საგნებს. ვიმეორებთ, რომ ამ დროს ყმაწვილის უსწავლელობის მიზეზი სიზარმაცე კი არაა, არამედ სხეულის მომეტებული ზრდა. ეს მოვლენა ისე აფერხებს გონებითი განვითარებას, როგორც გონების ჩქარი გახსნილობა აჩერებს სხეულის ზრდას. ამ ჭეშმარიტებას, რომელიც მრავალი გამოცდილებით დამტკიცებულია, დღეს ყველასაგან დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. სხეულის მომეტებული ზრდა ყველას ერთსა და იგივე დროს არ ეწყება და არც ერთსა და იგივე დროს თავდება. ეს სხეულის მომეტებული ზრდაა მიზეზი, რომ ოთხ-კლასიანი სასწავლებლიდან მოკიდებული სემინარიის მესამე კლასამდე ბევრი მოწაფეები რჩებიან ერთსა და იმავე კლასებში ორს წელიწადს. ამ მოწაფეთ სასწავლებლების მთავრობა უცქერის როგორც უნიჭოთ და ზარმაცთ. მაგრამ ასეთი სახელებით არ შეამკობდნენ მასწავლებელნი ხსენებულ მოწაფეთ, რომ გამოკვლეული იყოს ნამდვილი მიზეზი მოსწავლეთა ამ დროს სწავლაში წარუმართებლობისა.

თავი და თავი უბედურება ის კი არაა მოსწავლისათვის, რომ იგი ერთი წელიწადი კიდევ უნდა დარჩეს იმავე კლასში, არამედ ის, რომ ეს ერთი წელიწადი მისთვის არის განუწყვეტელი ზნეობრივი ტანჯვა. მეორე წელს იმავე კლასში დარჩენილთ უმეტესი მასწავლებლები უცქერიან როგორც ზარმაცთ და უნიჭოთ და რაღაცა ზიზღით ეპყრობიან მათ. სამწუხარო კიდევ ის არის, რომ მოწაფეებიც ცხადათ ამჩნევენ, რომ მასწავლებელნი მათ ცუდის თვალით უცქერიან და ამის შემდეგ რაღა ხალისით შეუდგებიან საქმეს. სწორედ დიდად სამწუხაროა, რომ უმაღლეს სწავლა მიღებულნი მასწავლებელნი, თითქო, ვერ ამჩნევენ, რომ ეგრედ წოდებულნი ზარმაცნი არიან მსხვერპლნი ღვთის მიერ დაარსებული უცვალებელი კაცობრიული ბუნების კანონისა, და ამიტომ ასეთი ყმაწვილები დაცინვის ღირსნი კი არ არიან, არამედ დიდი მათდამი ყურადღებისა და მოწყალებისა. არ უნდათ შეიგნონ, რომ მასწავლებლის ცუდი მოქცევით მოსწავლეში ისპობა ყოველი სურვილი და ენერგია, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მისი წარმატებით სწავლა; მოსწავლე ავდება, შეუფერებელ საქციელს ჩადის და ბოლოს იძულებული ხდება თავისთავად და ან ძალდატანებით გამოვიდეს სასწავლებლიდან.

სასურველი არ არის, როცა მასწავლებლები ასე ურიგოდ ეკიდებიან მეორე წელს იმავე კლასებში დარჩენილ მოწაფეთ, მაგრამ მთლად მასწავლებლების გამტყუნებაც არ შეიძლება ამ საქმეში. სამოსწავლე საქმე, როგორც მოწყობილი მანქანა, შეუჩერებლად უნდა წარმოებდეს. ზარმაცი მოწაფენი აფერხებენ სწავლის საქმეს, ხელ-ფეხს უკვრენ მასწავლებელთ, რომელთაც ამის გამო არ შეუძლიათ დადგენილნი პროგრამები თავის დროზე სისრულით გაიარონ. ვისთვის არის სასიამოვნო, რომ სხვისი გულისათვის პასუხი გაგებინონ, როცა ზოგიერთ საგნებში აგრე რიგად ვრცელი პროგრამები არ არიან. აი სად არის მიზეზი, რომ ზოგიერთი მასწავლებელნი ასე მკაცრად ეპყრობიან ზარმაც და მეორე წელს იმავე კლასში დარჩენილ მოწაფეებს? აი, ჩემის აზრით, ის საფუძველი, რომლის გამო აღიძრა კითხვა, რომ გიმნაზიებისათვის პრაქტიკულად მოამზადონ მასწავლებლები, რომ მათ უფრო კარგად წაიყვანონ სწავლების საქმე.

რასაკვირველია, ძველი ენების შესწავლაც საჭიროა, თუ კი ამ ენების შესწავლა ვისთვისმე აუტანელ შრომას არ შეადგენს. მაგრამ რატომ უნდა მოვსთხოვოთ ამ ენების წარმატებით შესწავლა იმ პირთ, რომელთაც უჭირსთ მათი შესწავლა და მეორეს მხრით ეს საგნები მათ მომავალ სამსახურში არავითარ სარგებლობას არ მოუტანენ? ამიტომ ძლიერ უკანონობა იქნება განათლების გზა დაუხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთ მათ, რომელნიც ამ ენების შესწავლის საქმეში შესაფერ ნიჭს ვერ იჩენენ. ძველი ენების შესწავლა ზოგიერთ მხოლოდ იმაში გამოიყენეს, რომ თავიანთ შვილებს ეხმარებიან ამ საგნებიდან გაკვეთილების დამზადების დროს. კიდეც რომ საუცხოოდ შეისწავლოს კაცმა ეს საგნები, ნამდვილ დედნებს სად იშოვის იგი, რომ წაიკითხოს და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ძლიერ ცოტანი არიან, რომელთაც ამ ენებზე ნამდვილი დედნების თავისუფლად წაკითხვა შეეძლოსთ. ხშირად ვხედავთ, რომ ამ ენების სპეციალურ მასწავლებლებმაც კი არ იციან ეს საგნები სასურველად».

კზა მღვდლობისაკენ.

(რუსულიდან)

გაგრძელება *)

გიგო თავის თვალით ხედავდა თავისი ბიძის განმანათლებელ მოქმედებას; თანაც ბიძა პატარაობიდგანვე უხსნიდა ყველაფერს თავის ძმისწულს. გიგოც ცხადად ხედავდა თავისი ბიძის მოღვაწეობის კეთილ ნაყოფს. გიგომ კარგად იცოდა, თუ რა შრომა გასწია მ. ივანემ, როცა არა რაის მექონემ დაარსა სამრევლო სკოლა, ნივთიერად უზრუნველ აყო იგი, შვენიერად დააყენა მასში სწავლების საქმე; გიგოს ისიც ახსოვდა, თუ რამდენი შეურაცხება და წყენა ხვდებოდა მის ბიძას, როცა ის მოინდომებდა ისეთი საქმეების გაკეთებას, რომელთა განხორციელებისათვის საჭირო იყო ფული. სკოლას გარდა მ. ივანემ დაარსა წიგნთ-საცავი, რომ ხალხში წიგნების კითხვა გაევრცელებია, გამართა კვირაუქმე დღეებში ღვთის-მსახურების გარეშე საუბრები, დაარსა საზოგადოება, რომელსაც მიზნად ჰქონდა მთვრალობის მოსპობა ხალხში. მ. ივანეს მეცადინეობით შედგა მგალობელთა გუნდი. გიგოს კარგად ახსოვდა, თუ რა შრომა გასწია ბიძა მისმა ყველა ზემოდ დასახელებულ დაწესებულებათა დაარსებისათვის. წიგნთ-საცავის მმართვა-გამგეობა და მისი ყურის გდება უმაღლესი მთავრობისაგან მინდობილი ჰქონდა მ. ივანეს. ამ გარემოებამ ბევრი მტერი გაუჩინა მ. ივანეს მის სამრევლოში, ეგრედ წოდებულ განათლებულ პირთა შორის, რომელნიც ქირდათ იღებდენ მ. ივანეს. ბევრი ლანძღვა-გინება ხვდებოდა მ. ივანეს თავხედი და გაუნათლებელ გლეხთაგან იმის გამო, რომ მან დაარსა საზოგადოება, რომელსაც ხალხში უნდა მოესპო მთვრალობა. გიგო ხშირად ხედავდა, რომ გლეხებს მიჰყავდათ ხოლმე მისი ბიძა ოც ვერსზე ზოგიერთი მღვდელ-მოქმედების შესასრულებლად და უმეტესად უსაჩუქროდ ისტუმრებდენ ხოლმე და ბოდიშსაც კი არ იხდიდნენ. გიგოს თვალწინ ედგა ისეთი შემთხვევები, სადაც ერის კაცი თავის მუშტს იხმარდა, მისი ბიძა კი ყოველივეს ითმენდა. პირიქით მ. ივანე დიდის მოფერებით და სიყვარულით ეკიდებოდა თავის სამრევლოის ყველა წევრს. გიგომ იცოდა აგრეთვე ისიც, თუ როგორ ამხნევებდა მისი ბიძა ღარიბთ და რამე უბედურებისაგან შეწუხებულთ და რამდენათაც კი შეძლება ნებას აძლევდა, იგი ნივთიერადაც ეწეოდა გაჭირვებულთ. ამაების შემდეგ გიგოს უნებლიედ დაებადა თავში შემდეგი კითხვა: ვინ ისურვებს, რომ სოფელში ამ ღარიბებთან და საწყლებთან საქმე იქონიოს? ვინ შეიწუხებს თავს მათი უბედური ცხოვრებიო? ძლიერ ძვირი მოვლენაა, რომ განათლებულ კაცს თავი შეეწიროს ხალხის სამსახურისათვის. არც ერთი განათლებული პირი ისე დაახლოვებული არ არის ხალხთან, როგორც მღვდელი. ვერას დროს ერის კაცი ისე ვერ დაუახლოვდება ხალხს, როგორც მისი სულიერი მწყემსი. ბევრი მაგალითი ყოფილა, რომ რიგიანად განათლებულნი პირნი წასულან ხალხში სამოღვაწეოდ, მაგრამ იგინი მალე იმედ დაკარგულნი უკანვე დაბრუნებულან, ვინაიდგან ამ ხელმძღვანელთ სურდათ თავიანთ ჭკუაზე წაეყვანათ ხალხი და ჩაენერგათ მათს სულსა და გონებაში ის მაღალი იდეები, რომლებითაც ეს ხელმძღვანელნი იყვნენ აღჭურვილნი, მაგრამ ხალხს ეჭვის თვალით შეუხედნია მათი სწავლა-მოძღვრებისათვის.

როცა გიგოს მოაგონდებოდა ის უბედურებანი, რომელიც თავს გადახდა მის ბიძას, სიკვდილი მეუღლისა, რომლისათვისაც შეეძლო გაეზიარებია მ. ივანეს თვისი მწუხარება და სიხარული, ის უსაზღვრო მწუხარება, რომელიც ბიძია მეუღლის გა-

*) იხ. «მწყემსი», № 12 1899 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვალების შესახებ, რომელსაც გიგოს უამბობდნენ ხოლმე მ. ივანეს სამრევლოთაგანნი,—გიგოს თვალებში ცრემლი მოდიოდა და სული ეხუთებოდა... ოხ, საწყალო ბიძიავ! ყველა ამაების შემდეგ როგორღა ძლებდი შრომას? დღეს, მართალია, კაი სახელი და გავლენა მოიპოვა ბიძა ჩემმა, მაგრამ რა დაუჯდა მას ამ სახელის მოპოება? რა ვუყოთ, ამაებს არ მოიხსენებს კეთილი მწყემსი. თუმცა მღვდლის ცხოვრება და სამსახური გიგოს აზრით სავსე იყო მწუხარებით, მაგრამ მასში მიუხედავად ამისა გაიღვიძა სურვილმა, რომ იგიც ჩადგომილიყო იმათ წრეში, რომელნიც ემსახურებოდნენ ქრისტეს ეკკლესიას და ღვთის ჭეშმარიტებას. ასეთ სურვილს ჰბადებდა გიგოში ის გარემოება, რომ მწყემსს წინ ეშლება ვრცელი ასპარეზი, დიდი ყანა, მხოლოდ საჭიროა, რომ მღვდელი იყოს საქმის მუყიათი და მოღვაწე!

გიგო შეიქმნა ნამდვილი ეკკლესიის მოსამსახურე კაცი. გიგოს ამ საქმეში ჰყავდა ბევრი თანამოაზრენი, რომელნიც თავიანთ გამოკვლევით და საბუთებით საჭიროდ რაცხდენ, რომ ხალხის სამსახურისათვის შეეწირათ თავი. იყო ბევრი სხვა და სხვა წრეებიც, რომელთაც სულ სხვა შეხედულება ჰქონდათ მღვდლობაზე, განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ამ წრეების წარმომადგენელნი ვერ ბედავდნენ მღვდლად წასვლას, ეშინოდათ ანაფორის ჩაცმისა, ეშინოდათ ცხოვრებისა მღვდლობის ხარისხში, ვინაიდგან, მათის აზრით, მღვდლობის მიღებას თან მოსდევს უფლების და მოღვაწეობის შემოკლება. ამ ყმაწვილებსაც სურდათ ემსახურნათ ხალხისათვის, მაგრამ სულ სხვა სახით და სულ სხვა სარბიელზე.

გიგო სემინარიის უკანასკნელ კლასებში იყო, როცა მისი ყურადღება მიიქცია **მწვალებლობამ**; ასეთ სახელს უწოდებდნენ მეცნიერებას, რომელშიაც განსაკუთრებით ვრცლად იყო განმარტებული მწვალებლობის ისტორია და ამ მწვალებლობისაგან წარმომდგარი სექტები. სექტანტების გაუნათლებლობა, ურჯულოობა, სიფიცხე და ფარისევლობა აკვირვებდა გიგოს, მას ებრალებოდა გზადაკარგულნი. ერთ დროს გიგოს აზრად მოუვიდა, რომ მქადაგებლად წასულიყო, გაცნობოდა სექტანტების მოთავეთ და შემდეგ ცდილიყო, რომ ჭეშმარიტ გზაზე დაეყენებია მწვალებელნი. ამავე დროს გიგოს სურდა ფსიხოლოგიურად გამოეკვლია ისიც, თუ საიდან დაებადათ ამ მწვალებელთ ასეთი შეცდომილი აზრები და სულის რა თვისებისაგან არის წარმომდგარი მათი სწავლა-მოძღვრება? მათი სწავლა-მოძღვრების მიზანი ჭეშმარიტების გამოკვლევა იყო, თუ გონებითი და ზნეობითი გარყვნილება აიძულებდა მათ დაედგინათ უფრო საადვილო სარწმუნოებრივი მოძღვრებანი, რომ თავისუფლად და თავის სურვილზე ეცხოვრათ. ამ საქმეს უფლო დიდის ყურადღებით მოექცა გიგო. მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მის გუბერნიაში თავი იჩინა სხვა და სხვა მწვალებლობამ. გიგოს გაუჩნდა საფიქრებელი საგანი. აი რამდენიმე თვის შემდეგ სწავლას დავამთავრებ და მე დაუბრკოლებლად შეუდგები აღრჩეულ ასპარეზს, რომლის გეგმა უკვე შემუშავებული ჰქონდა გიგოს.

დაუბრუნდეთ ქორწილის შემდეგ მომხდარ ამბებს. სამი ვერსის მანძილზე მ. ივანეს სამრევლოდან მდებარეობდა ქალაქი, სადაც გიგოს რამოდენიმე ოჯახი ჰყავდა გაცნობილი. გიგო ამ ოჯახებში პატარაობიდან დადიოდა და როცა სწავლა დაამთავრა, იგი ბევრს მოსწონდა თვისი გულწრფელი ხასიათით, შვენიერი მიმართულებით და თავისი ცხარი ბაასით, როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ისეთ საგნებზე, რომელნიც ეთანხმებოდნენ გიგოს მიმართულებას. გარდა ამისა გიგო, როგორც ახალგაზდა კაცს შეშვენის, იყო მხიარული, თან იცოდა მუსიკა და გალობითაც ურიგოდ არ გალობდა. ამიტომაც გიგოს ყველგან სიხარულით იღებდნენ და ზოგ ოჯახებში დიდი სიყვარულობითაც ექცეოდნენ, და, როცა მან ცოლი შეირთო, ბევრს საწყენად დაურჩა ეს შემთხვევა, ვინაიდგან, მათის აზრით, საზოგადოებას მოაკლდა ერთი კარგი წევრი. გიგოს ზოგიერთ ნაცნობ ერის კაცებს ძლიერ საწყენად დაურჩათ, რომ ასეთი გონებაგანვითარებული ყმაწვილი მღვდლად წასვლას აპირებდა, სადაც, მათის აზრით, კაცი უნდა მოაკლდეს ყოველივე მხიარულებას და დროს გატარებას და შეუდგეს აუტანელს ცხოვრებას. ამ ნაცნობ ოჯახებში გიგო თავისი მეუღლით წავიდა გასაცნობად. პირველად გიგო ეწვია ერთ მემამულე სტახინს, რომელიც თავისი ოჯახობით ქალაქს გარედ სცხოვრებდა. გიგოს განსაკუთრებით დიდი განწყობილება ჰქონდა ამ ოჯახთან, რომელიც შესანიშნავი იყო თვისი გულახდილი და კეთილი ხასიათით და პურ-მარილით. გიგოს იმედი ჰქონდა, რომ ამ ოჯახს სასია-

მოვნოდ დაურჩებოდა მისი ცოლის თხოვა და მისი მომავალი მოღვაწეობა. გიგოს თვითომ მემამულე მიეგება, ხელი ჩამოართვა და მიულოცა ცოლის შერთვა და თან მათ უსურვა ბედნიერი ცხოვრება. მალე სტახინის მეუღლეც გამოვიდა. იგი დატრიალდა, რომ გიგოს და მის მეუღლას გამასპინძლებოდა. როცა გიგო და მისი მეუღლე ყავას სვამდენ, მათთან გამოვიდა სტახინის გასათხოვარი ქალი და ერთი მისი ვაჟი, რომელიც სამსახურიდან დროებით იყო მოსული მამის სახლში.

ახალი აბები და შეტანშვნები.

ტფილისში მოვიდა კალიფორნიიდგან ორი ინჟინერ-გიდრავლიკი, ინგლისისა და ამერიკის დიდ სააქციო კამპანიების წარმომადგენელნი, რომელთაც ჰსურთ შეისწავლონ ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობა და გაიცნონ ადგილების მორწყვის პირობები იმ აზრით, რომ შეადგინონ კამპანიები უწყლო ადგილ-მამულების მოსარწყავად. მათ აგრეთვე განზრახვა აქვთ მოაწყონ მეურნეობა, გაჰმართონ ბაბის საწმენდი, ზეთის გამოსახდელი, ბრინჯის საწმენდი, შაქრის საკეთებელი და სხვა გვარი ქარხნები.(„ივ“

—

16 სექტემბერს, დილის ათ საათზედ, ტფილისის სამოსამართლო დაწესებულებათა შენობაში, კავკასიის მთავარ-მართებლის გენ.-ად. თავ. გ. ს. გოლიცინისა, საქართველოს ექსარხოსის მაღალ ყ-დ უსამღვდელოესის ფლაბიანისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის მრავალ სხვა წარმომ-დგენელთა და ინტელიგენციის თანდასწრებით, გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი და შემდეგ-კი მოხდა სამოსამართლო პალატისა და ოლქის სასამართლოს არა ჩვეულებრივი სადღესასწაულო კრება. ამ კრებაზედ პალატის თავმჯდომარის ნ. ბ. სმიტენის მიერ წაკითხულ იქმნა სასჯულო საქმეთა მინისტრის სტ. სეკ. მურავიოვის სახელზედ ბოძებული უმაღლესი რესკრიპტი, რომელშიაც გამოთქმულია ხელმწიფის მადლობა მთელ სამოსამართლო უწყების მიმართ, ახალ სამოსამართლო დაწესებულებათა შემოღების გამო მთელს იმპერიაში

რესკრიპტის წაკითხვის შემდეგ ნ. ბ. სმიტენმა გამოსთქვა, რომ სამოსამართლო უწყება ბედნიერი გახდა იმით, რომ ხელმწიფე იმპერატორმა სასარგებლოდ სცნო მისი შრომა და გამოუცხადა მადლობა, რომლისადგანაც სასამართლოს მოღვაწენი აღივსებიან ძალითა და მხნეობით შემდეგის მუშაობისათვის. როგორც დროშა, მეომრის თავზედ გაშლილი, აღაფრთოვანებს მათ საგმირო საქმეთათვის, ისე ამიერიდგან უმაღლესის რესკრიპტის დაუვიწყარი სიტყვები აღაფრთოვანებს თითოეულ სამოსამართლო მოღვაწეს მხნე და დაუღალავ შრომის გასაწევად, კანონიერების დასაცველად და მოწყალე, მართალ ყველასათვის თანასწორ სამართლის საქმნელად. როგორც ფარი იცავს მეომარს მისი მტერის თოფზარბაზნისაგან, ისე რესკრიპტის სიტყვები დაიცავენ მტერთაგან სამოსამართლო უწყებას. სამოსამართლო ცვლილებათა სიკეთე დღეს რუსეთის ყველა მოქალაქის საკუთრება შეიქმნა და ამ ჟამად მთელ ჩვენს უშველებელ იმპერიაში არ არის ისეთი კუთხე, სადაც არ მოქმედებდეს სამართლიანობისა, უფლებისა გულკეთილობისა და კანონის წინ საყოველთაო თანასწორობის დედა აზრნი. ამიერიდგან, რაკი იმპერატორმა უკვე აღიარა სამოსამართლო უწყების დამსახურება, ადგილი აღარ ექმნებათ რუსეთში სასამართლოს მტრებს. დიდება დიდებულ დამწესებელს სასამართლოებისას, მეფეს-განმათავისუფლებელს, დიდება მისს უავგუსტოეს შვილის-შვილს, ხელმწიფე იმპერატორს ნიკოლოზს ალექსანდრეს ძეს, რომელმაც დაამთავრა სამოსამართლო ცვლილებათა შემოღებაო,—დაასრულა თავისი სიტყვა ნ. ნ. სმიტენმა.

თავმჯდომარეს სამჯერ ერთხმად შესძახეს „ურა“. დასასრულ საზოგადო კრებამ დაადგინა: განუცხადოს სასჯულო საქმეთა მინისტრის პირით მის იმპერატორებისა უდიდებულესობას უქვეშევრდომილესი გულითადი მადლობა სამოსამართლო უწყების ყველა მოხელეთა, აღბეჭდოს მარმარილოს ქვაზედ უმაღლესის რესკრიპტის დაუვიწყარი სიტყვები და გამოუცხადოს ტფილისის სამოსამართლო ოლქის ყველა მოხელეთა და ნაფიც ვექილთაგან დიდი მადლობა სასჯულო საქმეთა მინისტრს ნ. ვ. მურავიოვს იმ შრომისათვის, რომელიც მან გასწია სამოსამართლო ცვლილებათა ყველგან შემოღების საქმეში. („ივერ.»)

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მატარებელში, რომელიც ყარსის რკინის გზაზედ დაიმტვრა 17 სექტემბერს, ყოფილა 600-დე მოგზაური და თითქმის ყველა ვაგონები სავსე ყოფილა ხალხით. ჭინა მესამე კლასის ვაგონებში უმეტეს ნაწილად მუშა ხალხი და 55 ჯარის კაცები ისხდნენ. შუა ვაგონებში იმყოფებოდა სხვა და სხვა გვარი ხალხი, სხვათა შორის ბავშებიანი ქალებიც, ბოლო ვაგონებში კი იყო უფრო უკეთესი საზოგადოება. მატარებლის დამსხვრევის დროს ჯარის-კაცთა შორის დაშავდა 11 კაცი, ხოლო მოკლულ იქმნა 3, რომელთაგან ორის შიგნეულობა ვაგონების ნამსხვრევებ ქვეშ ნახეს, ერთი კი ზევით შეესროლა და ფეხები საბრალოს ერთმანეთზედ შემჯდარ ვაგონების სახურავებ შუა მომწყვდეოდა; ამ მდგომარეობაში დარჩენილიყო იგი, ვიდრე მუშები დიდის გაჭირვებით გამოაძრობდნენ ვაგონებიდგან მის მთლად დამსხვრეულ ფეხებს; იგი იქვე გარდაიცვალა ფეხების შეხვევის შემდეგ. ორი მოკლული ჯარის-კაცი ერთმანეთზედ გადახლართული ნახეს, ისინი წარმოადგენდნენ ერთმანეთში არეულ რაღაც გაურკვეველ დასისხლიანებულ საგანს. ასეთსავე მდგომარეობაში აღმოაჩინეს კიდევ ერთი მუშა.

ამას წინ ყარსის რკინის გზის საავადმყოფოში მიყვანილ დაშავებულთა შორის მოკვდა 8 კაცი. სულ ამ უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა 14 კაცის სიცოცხლე.

ის მგზავრები, რომელნიც ამ უბედურებას გადარჩნენ, გულის ცახცახით იგონებენ საშინელ წუთებს. თავდაპირველად 15 წუთის განმავლობაში სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა მატარებლის რყევა; შემდეგ გაისმა თავზარდამცემი ჭახანი და მატარებელი ისეთის ძალით შეირყა, რომ მგზავრები თავთავიანთის ადგილებიდგან რამდენსამე სკამს იქით გადაისროლა. შეიქმნა საშინელი აურ-ზაური, სირბილი, წივილ-კივილი, ტირილი, მომაკვდავთა და დაშავებულთა კვნესა-გმინვა... ნაცნობ-ნათესავები ერთმანეთს ეძებენ, დედები თავგანწირვით და კივილით სთხოვენ ყველას, ბავში მომიძებნეთ. ერთი ეჯახება მეორეს და ფეხქვეშა სთელავს... სწყევლიან გზის ამშენებლებს და სხ...

* *
*

ვატყობინებთ მკითხველებს, რომ ტფილისში შესდგა კომიტეტი ქუთაისის და ტფილისის გუბერნიების მემამულეთა დახმარებისათვის გასავრცელებლად და წარსადგენად 1900 წლის პარიზის გამოფენაზე სხვა და სხვა ჩვენებური საგნების და მოსავლისა. ეს კომიტეტი იმყოფება თავად-აზნაურთა ქარვასლაში და ყოველს მემამულეს, ამ ხსენებულ გუბერნიებისას ნება აქვს გაუგზავნოს ყველანაირი საგანი ან წლიური მოსავალი, რომელიც ღირსი იქმნება წარსადგენად გამოფენაზე. ამ საგნებს კომიტეტი იღებს მხოლოდ 1 დეკემბრადის და თავის დროზედ წარადგენს გამოფენაში, სადაც ყოველი საგანი გამოიკვლევა და ღირსეული პასუხი მოუვა მემამულეს.

სასურველია, ჩვენი მემამულეები დაფაცურდნენ და სასურველი შემწეობა აღმოუჩინონ ამ კომიტეტს, რომელიც არავითარ ხარჯს არ ითხოვს და დანიშნულებათა აქვს მხოლოდ ის, რომ დაეხმაროს ჩვენს მემამულეებს.

რომელ მემამულესაც არ შეუძლიან რამე მიაწოდოს ამ კომიტეტს, მაინცა და მაინც სასურველია, შეატყობინოს თავის მეზობლებს, რომლებსაც შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ გამოფენაზე.

კომიტეტს განაგებს ბ. რ. ისარლოვი, რომელმაც იკისრა გამოფენას დაესწროს თავისი ხარჯით და ყოველნაირი დახმარება აღმოუჩინოს გამოფენაზე ჩვენებური საგნების და მოსავლის გავრცელებას...

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

სიტყვა,

თუ რა მნიშვნელობა აქვს ტაძარსა ღვთისასა ქრისტიანეთათვის.

ე მსურს, ძმანო, ვსთქვა მოკლე სიტყვა, თუ რაი არს ტაძარი ღვთისა ქრისტიანეთათვის.

ტაძარი არს ღვთისაგან დაწესებული მსოფლიო სასწავლებელი. თუმცა სიბრძნე არაა საყოველთაო, გარნა დასაბამი მისი—სჯული უფლისა—ყოველთა და ყოველისათვის უძვირფასესი ნივთია: ჯერ არს ვიკოდეთ: პირველად, ღმერთი, შემომქმედი და განმანათლებელი ყოველთა; ხოლო მეორედ,—მხსნელი უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ჯვარცმული ჩვენისა ცხოვრებისათვის; ვერწმუნოთ მას და აღვასრულოთ წმიდა მცნება მისი. შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და მოყვასი შენი.—ვითარცა თავი თვისი (ლუკ. 10, 22). ესე არს მადლი სულისა წმიდისა, განმაბრწყინვებელი ჩვენი; ესე არს მოლოდება მერმისა მის საუკუნოისა, სადაცა უკვე მიაგოს უფალმან კაცად-კაცადსა საქმეთა მისთა ებრ. აი, ძმანო, სჯული უფლისა. ვინა გვაუწყოს სასმენელად ყოველთა ესე ვითარი ჭეშმარიტება, ანუ სადაა სასწავლებელი ამისა ყოველთათვის და მხოლოობით?

—ტაძარში: აქა განიხვნიან კარნი საყოველთაოდ, არ ითხოვების შრომა და ჭმუნვა გამოსაცდელად, ვითარიცა ითხოვება ხორციელ სასწავლებლებში მიღებისათვის,—მოვედ, ძმაო, ისმინე და განისწავლე. თუმცა ამა სასწავლებელში ვერ გაუწყონ შენ, რაოდენ შორ არს ქვეყანა მზისაგან, ანუ ვითარ შესაძლოა აიცდინოთ გრგვინვა, გარნა სცნობ, ძმაო, რაოდენ დაშორებული დაცემული კაცობრიობა ღვთისაგან, ანუ ვითარ შესაძლოა სცხონდეს კაცი მართლმსაჯულებითა ზეციერისათა. ვერ განისწავლოთ ტაძარსა ამას შინა სიმდიდრეთა ზედა მთათა და ზღვათა ქვეშე, გარნა გულთა შინა თქვენთა ჰპოოთ აქ—წმიდა ლოცვებში—ბრწყინვალე, ვითარცა ოქრო, სიყვარულული ღვთისა. ვერ შეისწავლოს აქ კაცმან სხვა და სხვა ენები, გარნა მან დააცხროს ენა თვისი ბოროტისაგან და ბაგენი მისნი არღარა იტყოდენ ზაკვასა; მოიქცეს ბოროტისაგან და ჰქმნის კეთილი; ხოლო რაოდენთა უკვე ამა სასწავლებელში დამთავრებულთა დაუმტკიცებიეს, რომელ მათდამი მიცემულ იყო ცნობად საიდუმლოისა სასუფეველსა ზედა ღვთისასა (მათ. 13, 11).

რაი არს ტაძარი?

—ტაძარი არს ღვთისაგან დაწესებული სამკურნალო სულიერი. ყოველი ჩვენგანი უწყებულ არიან, ძმანო, რომელ სული ჩვენი მსგავსად სხეულისა მიდრეკილია სხვა და სხვა სნეულებათადმი, რომელნიც, თუმცა ბევრს ჩვენთაგანს სამძიმოდ არ მიაჩნიათ, გარნა სნეულება იგი საშიშია და შეამთხვევს სულისა საუკუნო სიკვდილსა. ხორციელად სნეულებაზე მოგონილია სხვა და სხვა საშვალებანი; ხოლო სულიერი სნეულების წამალი კაცთაგან ვერ შესაძლო იყო მოგონებად, გარნა მხოლოდ ღვთისა, რომლის სახიერებითაც მოგონილია სამკურნალო სულისა, რომელიც მოგვეცემის ჩვენ ტაძარსა შინა უსასყიდლოდ: ესე არს სისხლი და ხორცი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და მადლი სულისა წმიდისა. რაოდენ ტვირთ მძიმეა კაცი ცოდვათა მისთაგან, ესოდენ სარწმუნოება და სიყვარული ღვთისა, ალსარება და ზიარება წმიდათა საიდუმლოთა მისცემს მას სულიერსა შვებასა და განიკურნების იგი ყოვლისაგან სნეულისა და უძლურებისაგან.

რაი არს ტაძარი?

ტაძარი არს ღვთისაგან დაწესებული ქვეყანაზე სულიერი სამსჯავრო. კაცი, რომელიც უკვე შთავარდა დიდსა განსაცდელსა და მით მიეცა რისხვასა ქვეშე მთავართა, ანუ მეფეთა, თანა არს ცნობად, თუ რა მოელის მას მომავალში, ანუ ვითარი მსჯავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი იქნების დადგენილ მას ზედა. ჩვენ საყოველთაოდ გვაქვს ფრიად შესანიშნავი საქმე ზეცასთან; ჩვენა გვაქვს მსჯავრი დიდი ხნის შემოქმედისა ჩვენისადმი. ადრე ანუ გვიან უნდა მოელოს ბოლო ამ ჩვენს ედემის მსჯავრსა; გარნა რაში უნდა მდგომარეობდეს ეს, ანუ რა სასჯელი მოელის კაცთა? სადა სცნოს კაცმან რაიმე ვითარი ამ საგანზე?—ტაძარში; აქ უკვე დაადგენილია სამსჯავრო (ფსალ. 149 და 9); დიდება ყოველთა წმიდათა მისთა და წინაალმდეგი ამისა,—რომელთა დაუტევებიეს სჯული მისი. თუ გსურს, ძმაო, ნათლად გაიგო მსჯავრი უმაღლესის მსაჯულისა,—ისმინე გულსმოდგინედ, როდესაც იკითხვიდენ წმიდასა სახარებასა მეორედ მოსვლაზე, ანუ საშინელს სამსჯავროზე: მას შინა არიან აღწერილნი ფრიად კეთილნი საქმენი, რომლისათვის სცხოვნდების კაცი, ანუ წარსწყმდების იგი. ვერ ასცდნენ სასჯელსა ღვთისასა გინა მთავარნი ანუ გლახაკნი, ცოდვილნი, ანუ მართალნი! ცანი და ქვეყანა წარხდენ, ხოლო სიტყვანი წმიდისა სახარებისანი ჰგიეს მარადის და უკუნისამდე.

რაი არს ტაძარი?

—ტაძარი არს ადგილი, მარად ჟამ სახილველი უმაღლეხთა არსებათა. სულიერი ქვეყანა დაფარულ არს ჩვენგან თვალუჩინარის კრეტსაბმელითა; გარნა მუნ ყოველნი ჩვენთვის ძვირფასნი არიან: მუნ არს უფალი, მაცხოვარი ჩვენი; მუნ არიან მოციქულნი, მოწამენი, მწყემსთ-მთავარ-განმგენი ეკკლესიათანი—და ყოველნი წმიდანი მამანი; მუნ არიან ჩვენნი წინაპარნი—უმეტეს ნაწილ ცნობილნი ჩვენნი, მოყვასნი და მეგობარნი. ნუ თუ ადგილი არა არს ქვეყანაზე, რომ მათთან გვქონდეს მარად ჟამს ერთობა და კავშირი!

—არს ტაძარში. მარად ჟამს ჩვენს ლოცვებში წმიდა ტაძარსა შინა დაუახლოვდებიან ურთი ერთ შორის ორი ქვეყანა,—ხილული და უხილავი; გულნი ჩვენნი ესევითარის საშვალებით აღეგზნებიან ზე, სული, ზეცაში მყოფი, გარდამოივლინება ქვე და ჩვენ გვეძლევა ნიჭი, რათა აღვნიშნოთ მომავალი ჩვენი მდგომარეობა; ხოლო მათ (სულთა) უადვილდებათ გახსენება წარსულისა და ხილვად ჩვენისა საჭიროებისა. ამისათვის მამათცხოვრებაში ჩვენ ვნახულობთ, რომელ არაოდეს იმდენი არა ქმნილან გამოცხადებანი, არა ყოფილან ხილვანი ჩვენთვის, ვითარცა ტაძარში—საშუალ ღვთის მსახურებისა. და უკეთუ ბრძენთა, ღვთის მსახურთა, შემდგენელთა ლიტურლიისა, დასწერეს, რომელ მეუფე დიდებისა ძღვნად შეიწირების წმიდასა ტრაპეზსა ზედა ანგელოსთაებრ უხილავად და ჩვენ საიდუმლოდ შევადგენთ ამ დროს ხერუვიმთა, მაშასადამე დაწერილ არს ესევითარი არა ვითალცა ოცნებით, არამედ სულიერითა გამოცდილებითა; გარნა თვითეული კაცად-კაცადისა თვისცა აიხსნების აქა ჟამითი ჟამად კრეტსაბმელი სულიერისა ანუ უხილავისა ქვეყნისა საიდუმლოსა შინა ევხარისტიისასა. ნუ თუ ესე არა არს ნიშანი უკვდავებისა, ანუ მცნებისა საუკუნო ცხოვრებისა, რომელსა შინა ხილულად შეერთდებიან ცოცხალნი მკვდართა თანა?

დასასრულ—ტაძარი არს წმიდა ადგილი, სადაცა პირის-პირ თაყვანსა ვსცემთ ქმნილნი შემოქმედსა თვისსა, ადგილი თვით უწმიდესი და საამო კეთილი სულისათვის. ნუ თუ მხოლოდ საჭიროებანი ამაო ამის სოფლისა გვაიძულებენ ჩვენ საქმეთადმი ღვთის მსახურებისა? ნუ თუ კაცთა არ მიენიჭათ უმაღლესნი მიმართულებანი. რათამცა იგინი, რაოდენ ესე შესაძლოა, წარსდგებოდნენ პირის-პირ ღვთისა წმიდა ტაძარსა შინა და სუფევდნენ ხილვითა მისითა, ვინაიდგან ადგილი—პირის-პირ სანახავი ღვთისა—არს ტაძარი, რომელშიაც კაცი მოვალეა წარსდგეს თავის შემოქმედისა წინაშე და გამოუცხადოს მას სიყვარული და მადლობა ყოველსა ზედა, რაიცა შეემთხვევის მას მოწყალებითა მისითა? მართალია, ჭეშმარიტნი თაყვანისმცემელნი ყოველგან თაყვანის ცემენ ღმერთსა სულითა და ჭეშმარიტებითა (იოან. 4, 24); გარნა ნამდვილი ჭეშმარიტებაა, რომელ უფალი რომელთამე ადგილებში უჩვენებს კაცთა საკუთარსა მყოფობასა თვისსა. ტაძარი არს უპირველესი ამა ადგილებთაგანი: ესე არს მარად ჟამ ხილული და თვალთსაჩინო ადგილი დიდებისა მისისა; აქა არს სიტყვა მისი და საიდუმლოები, მისი ტრაპეზი და შესაწირავი, რომელზედაც იწირვის სისხლი და ხორცი მხოლოდ შობილისა ძისა მისისა. ამისათვის, ძმანო, ის წმიდა მამები, რომელნიც თუმცა თავით თვისით წარმოადგენდენ ტაძარსა ღვთისასა,—გარნა არ დასცხრებოდნენ სლვად მას შინა და სთვლიდნენ ბედნიერად მხოლოდ იმ წამებს, მათის ცხოვრებისას, რომელნიც უტარებიათ მათ წინაშე ტრაპეზისა ღვთისა.

შემდეგ ასეთის გაცნობისა ტაძრისა ღვთისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გაიკვირვებთ, ძმანო, რომ ვსთქვა: იგი არ არს ქრისტიანი, ვისაც აქვს დრო და ჟამი სიარულისათვის ტაძარსა შინა ღვთისასა და არ დაიარება მასში. ხოლო შემავალთაგან ტაძარსა ღვთისა ითხოვებიან აქვე რაოდენიმე კეთილნი მიმართულებანი; უამისოდ, ნაცვლად წყალობისა ღვთისა, მათ შეუძლიათ დაიმსახურონ წინააღმდეგი ამისა. ისმინეთ, ძმანო, ტაძარი არს საქველმოქმედო სასწავლებელი და ამისათვის იყავნ განკრძალულ სმენისადმი: აქა საუბრობს არა კაცი, არამედ თვით უფალი, მსურველი შენისა ცხოვნებისა. უმეტესად ყოვლისა ეცადე, ძმაო, გაგონილი აქ კეთილი წინადადება, აქციო საქმედ. მცირეოდენიც რომ შეასრულო, რაც გესმის აქ შენი სულის საცხოვნებლად,—ესეც საკმაოდ გამოიღებს მოსალოდნელსა ნაყოფსა, ხოლო უკეთუ არ აღასრულოთ შეძენილი თქვენ მიერ სწავლა ტაძარსა შინა, რა სარგებელია, ვინაიდგან სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვდარ არს.

ტაძარი არს სამკურნალო ამისათვის ეძიებდე მასში განკურნებასა და ნუ სასოწარკვეთილ იქნები მაზე. ჩვენი ზეციერი მკურნალისათვის არა არსებობენ მოურჩენელნი სნეულებანი, მხოლოდ ნუ ევლტვი საშვალებასა, რაიცა გებრძანების სახმარებლად. ნუ გჯერის, ძმაო, შენი გულისა, ოდეს იგი გითქმიდეს, რომელ იგი, ანუ სხვა საშვალებანი, ვითომ უვარგისნი იყვნენ. მაცხოვარმან ჩვენმან უწყის უმეტეს ყოვლისა ჩვენნი სნეულებანი და ჩვენცა პირად გვიცის აღკრძალული ხილისადმი, რაც უნდა ტკბილი იყვეს, ევლტოდე გულის თქმისაგან. ხორციელნი მკურნალნიც ბევრს რამეს აღგვიკრძალავენ ჩვენის სიმრთელისათვის. გარეშე მოთმინებისა სულიერი მკურნალობა ჩვენი რჩება ისე უნაყოფოდ, როგორც ხორციელი. რა სარგებელ არს, ოდეს კაცი ტაძარსა შინა ეზიარება სეროზასა უფლისასა, ხოლო გარეშე მისა სეროზასა ბოროტთა მათ სულთასა (1 კორ. 10, 21).

ტაძარი არს სამსჯავრო სულიერი, ამისათვის შევურიგდეთ ზეცასა, ვინემ დრო და გზასა ვდგევართ ამა წუთისოფლისასა (მათ. 6, 25). და ვიურვიდეთ ცოდვათა ჩვენთათვის. ირეკდით კართა მოწყალებისათა, ვიდრემდის დადგებოდეს ჟამი სასჯელისა. ნუ უარ ჰყოფ უფლებასა ეკკლესიისასა: იგი არს ღვთისაგან: ხსნილი აქ,—ხსნილ არს ცათა შინა, ხოლო კრული—მუნცა კრულ არს. მიიღე მოწყალება ღვთისა, ვითარცა გეძლევა და ნუ გაკვირნ სიუხვესა ზედა მისსა: უხვად ეძლევის მოწყალება ღვთისა თვითეულს ჩვენგანსა, ვინაიდგან ჩვენთვის საზოგადოდ უხვადაა შეძენილი წყალობა მისი, უხვად გასულია სასყიდელი. ხოლო ეცადე, ძმაო,—ბოროტად არ იხმარო მოტევება. სიყვარული მხსნელისა გეყოს შენ ანგელოზად—მფარველად დღიური სიბოროტისაგან. წინააღმდეგ ამისა ყოველივე ამაო იქმნების, ძმაო, და შენ მოგეთხოვების მართლ-მსაჯულისაგან თვით მოწყალებანი მისნი, რომელნიცა ბოროტად გიხმარებიეს შენ.

ტაძარი არს წმიდა ადგილი, სადაც ვხედავთ მცხოვრებთა ამა ქვეყნიერთა, და რომელთაც გაკლიათ მახლობელნი გულითა, ნაცვლად ტირილისა და ვაებისა მიესწრაფებოდეთ კვარცხლბეკსა ტრაპეზისა უფლისასა, სადაცა წინაშე ღვთის სიყვარულისა, არა არიან მკვდარნი და სული თქვენი ჰპოებს განსვენებასა. მიუახლოვდეთ სულითა დასასრულსა ქვეყნისასა და იგრძნოთ ძალი მომავალისა საუკუნოისა. ამა ვითარ მიმართულებაში აწინდელი ცხოვრება ესე ჩვენი დაკარგავს თვისსა უძვირფასეობასა და არღარა მიეცემით მწუხარებასა დაშორებისათვის მოყვასთა, მეგობართა და საყვარელთა თქვენთა, და შეუერთდებით მათ სარწმუნოებითა და სიყვარულითა, სადაცა განისვენებენ იგინი.

ტაძარი არს ადგილი, სამყოფი და პირად სახილველი ღვთისა. მაშ სდეგიან ტაძარში ვითარცა წინაშე ღვთისა, ვითარცა ქვეყნიერისა და ზეციერისა მეუფისა. დაუტევე შესვლასა შინა სახლისა ღვთისასა ყოველივე ქვეყნიერი, ვინაიდგან კმა არს დღისა ყოვლისა სიბოროტე თვისი (მათ. 6, 34). ექვსთა დღეთა შინა იქმოდე საქმეთა შენთა, ხოლო მეშვიდე დღე არს უფლისა—ღვთისა შენისა. სდევინ ეკკლესიაში, ვითარცა იდგე ზეცას, ვინაიდგან სდეგხარ რა ეკკლესიაში, შენ სდეგხარ ჭეშმარიტად ზეცას—წინაშე ღვთისა. ამინ.

მღვდ. იოანე კერესელიძე

შეწირულებანი.

I.

სია მცხეთის ტაძრის სასარგებლოდ შემომწირველთა პირთა შორაპნის საბლაღოჩინო მაზრაში.

დეკანოზმა დავით ლამბაშიძემ პატარა გულსაკიდი ხატები ნინოსი, ღირ. 15 მან. და ფულად 2 მან., მღვ. თომა დუგლაძემ 3 მან., მღ. გ. ანთაძემ 1 მან., მღვდ. ბესარიონ კელენჯერიძემ 1 მან.; მღ. იაკობ გველესიანმა 1 მან., მღვდ. ბესარიონ გველესიანმა 1 მან., მღვდ. დ. კვიქინძემ 1 მან., მღვდ. დავით საყვარელიძემ 1 მან., მღ. დავით გველესიანმა 1 მ. და 9 კაპ. მღვ. ეფრემ გაჩეჩილაძემ 1 მან., მღვდ. დავით ანთაძემ 1 მ., მღ. ივანე დეკანძემ 1 მან., მღვდ. გაიოზ მ ღრაძემ 1 მან. 33 კაპ., მღვდ. ანტონ კვანტრეშვილმა 1 მან., მღ. რომანოზ გორგაძემ 1 მ., მღ. ქსენოფონტ ლამბაშიძემ 1 მან., მღ. ივლიანე ყუფშიძემ 1 მან., მღ. ლუკა მაღრაძემ 1 მან., მღ. მაკარი გაჩეჩილაძემ 1 მან., მღ. სამსონ ცქიტიშვილმა 1 მან., მღ. ანდრია ბერაძემ 1 მ., პრიჩეტ. მიხ. ბარამაძემ 1 მან., დიაკონმა მ. ჭუმბაძემ 50 კ., პრიჩეტნიკმა გიორგი ლამბაშიძემ 25 კაპ., პრიჩეტ. ვარლამ ბებიაშვილმა 50 კ., მღ. დიმ. ანთაძემ 55 კაპ., პრიჩეტ. ონისიმე გორგაძემ 20 კაპ., პრიჩ. ვ. გველესიანმა 27 კ., პრიჩ. ტარიელ ანთაძემ 50 კაპ., პრიჩ. ივანე მშველიძემ 48 კაპ., პრიჩ. ან. კელენჯერიძემ 50 კ., პრიჩ. გერონტი ჭიპაშვილმა 25 კ., პრიჩ. აკაკი ლამბაშიძემ 50 კაპ.

და სრულიად ფულად 30 მან. და პატარა ხატებით 45 მან.

II.

„მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენი პატივცემული ჟურნალის „მწყემსი“-ს საშვალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ჩემი და ჩემი მრევლის მაგიერ სუფსის რკინის გზის სადგურის მოსამსახურეს გზის ოსტატს არქიფო ი. ცხადაძეს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამო სიქთარუის ზედ-მიწერილის ფერისცვალების ეკკლესიას ერთი რწყვილი ბაირაღი, ღირებული ოთხ თუმნად, და ერთი ზარა, ღირებული ოც თუმნად.

ბლაღ. მღვ. მელეტი რიჟამაძე.

რედაქციის პასუხი.

ბ. ტვილდიანს. პრიჩეტნიკს პირველიძეს „მწყემსი“ ეგზავნება ცაგერში სვანეთის ბოქაულის კანცელარიით. ცაგერს იქით ჩვენ საშუალება არა გვაქვს გაზეთის გაგზავნისა. თუ სვანეთის ბოქაული არ აძლევს, ცაგერიდან თვითონ უნდა მიიღოს.

ზოგიერთ პირთა. ზოგიერთები ითხოვენ ისეთი საეჭვო კითხვების განმარტებას, რომელთა უცოდინარობა სწორედ სასირცხოა. ესეც რომ არ იყოს, დასახელებული კითხვები არა ერთ გზის ყოფილა დაბეჭდილი. ბატონებო, სასირცხო როდია, რომ კაცმა ძველი ნომრები გადახედოს და თავისი ნაკლი შეივსოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა 1899 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

ს

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 »
— „ ორივე გამოცემა 5 »	— „ ორივე გამოცემა 3 »

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც**. **თბილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუსუკაშვილთან. **ფოთში** — დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭარიოვთან; **სარჩერეში** — ყრანჩხეიძესთან; **ახალციხეში** — დეკანოზ დ. ხახუტოვთან; **ახალსენაკში** — ბლაგოჩინ მ. ა. ალიტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემ სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მდგომარე წლის სელის მომწერთათვის დანიშნულია საჩუქრად **ხახულმა ღვთისმშობლის** ფოტოგრაფიული **ნახატი** და ჩვენი მოღვაწის ბატონის

აკაკის სურათი,

ბრესტოლის ქალალდზე დაბეჭდილი.

ზემოალნიშნულ საჩუქრეს ხელის მომწერნი ძიიღეენ ფულის შემოტანისთანავე.

კერძო საავათმყოფო ამბულატორიითურთ

ს. ბ. თოფურიასი.

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს ძიიღებს

ექ. ს. ბ. თოფურია.

ხირურგიულ შარდით სიფილისით და თვალების ავათმყოფობისათვის.

ექ. ფ. კ. გერრატი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიო ქალი.

ექ. მ. ფ. კოგანი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. **თოფურია.**

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: რედაქციისაგან. — მადლობა ღმერთს, მოვესწარით 1873 წლის უქაზის ასრულებას. — წერილი „მწყემსი“-ს რედაქციისადმი. — საშინელი უბედურება ყარსის რკინის გზაზე. — საუბარი მრევლის მღვდლისა სასაფლაოის სუფთად დაცვის შესახებ. — ჟურნალ-გაზეთებიდან. — გზა მღვდლობისაკენ. — ახალი ამბები და შენიშვნები. —

სწავლა და **მეცნიერება ქრისტიანოგბრივ სარწმუნ.** და **კეთილ-ზნეობაზე:** სიტყვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტაძარსა ღვთისასა ქრისტიანეთათვის. — შეწირულებანი. — რედაქციის პასუხი. — განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 30 сентября *1899 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ.*

Типог. редакціи журн. „**Пастырь**“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.